Research

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

ივლისი 2021

- საერთაშორისო მოგზაურთა რიცხვი 2021 წლის ივლისში 435%-ით გაიზარდა, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 76.4%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 403.7%-ით გაიზარდა (2021/2020) და 73.8%-ით შემცირდა (2021/2019), ხოლო საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა 473.9%-ით გაიზარდა (2021/2020) და 62.6%-ით შემცირდა (2021/2019).
- 2021 წლის ივლისში, უკრაინიდან ვიზიტორთა რაოდენობა თითქმის გაუტოლდა 2019 წლის ივლისის ნიშნულს, ხოლო ისრაელიდან, ბელარუსიდან და ყაზახეთიდან ვიზიტორთა რაოდენობამ 2019 წლის მონაცემის დაახლოებით 75% შეადგინა.
- შერბილებულმა შეზღუდვებმა და ფრენების აღდგენამ საქართველოში ტურიზმის სექტორის აღდგენის პირველი ნიშნები დაგვანახა. თუმცა, აღდგენის გზაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლებები არსებობს, როგორიცაა ქვეყანაში ვირუსის გავრცელების სწრაფი ზრდა და ნელი ვაქცინაციის ტემპი.
- 2021 წლის ივლისში, სასტუმროს ფასების ინდექსი 2019 წლის ამავე თვესთან შედარებით 5.6%-ით გაიზარდა. ზრდა ძირითადად ტურიზმის აღდგენის მიმართ პოზიტიური მოლოდინებით იყო განპირობებული. ამას გარდა, აღსანიშნავია დაბალი საბაზისო ეფექტიც, რაც 2019 წლის ივლისში რუსეთის მიერ ფრენების შეზღუდვის შოკმა გამოიწვია.

ტურიზმის აღდგენის პერსპექტივები საქართველოში

ტურიზმის სექტორისთვის გამოწვევებით სავსე 2020 წლისა და 2021 წლის დასაწყისის შემდეგ, 2021 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ტურიზმის სექტორში შეინიშნება გარკვეული დადებითი განვითარებები შეზღუდვების შერბილების კუთხით. 2021 ნლის ივლისისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე არ არის დანესებული საქალაქთაშორისო მიმოსვლის შეზღუდვა. ამავდროულად, უფლებამოსილი ვიზიტორებისთვის გახსნილია სახმელეთო და საჰაერო საზღვრები. აქვე წარმოდგენილია ამავე პერიოდში COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნის მიმდინარეობა:

- 17 მაისიდან, კომენდანტის საათმა 21:00-დან გადაინია 23:00-მდე.
- 22 მაისიდან, რესტორნებს მიეცათ ღია სივრცეებში შაბათ-კვირას ოპერირების შესაძლებლობა.
- 1-ლი ივნისიდან, რესტორნებს მიეცათ ღია და დახურულ სივრცეებში შაბათ-კვირას ოპერირების შესაძლებლობა.
- 1-ლი ივნისიდან, გაიხსნა სახმელეთო საზღვრები.
- 14 ივნისიდან, ქვეყნის გარშემო გაიხსნა ტურისტული საინფორმაციო ცენტრები.
- 16 ივნისს, მოიხსნა 10 წლამდე ვიზიტორთათვის PCR ტესტირების ვალდებულება.
- 1-ლი ივლისიდან, მოიხსნა კომენდანტის საათი (23:00-04:00).

ტურიზმის სექტორის აღდგენაში მნიშვნელოვან პოზიტიურ როლს თამაშობს ავიაციის მიმართულებით აღდგენაც. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილის განცხადებით, 2021 წლის ივლისში, 2019-ის მონაცემებთან შედარებით, პირდაპირი საჰაერო მიმართულებების რაოდენობის 72% აღდგა. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში 2019 წელთან შედარებით პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება. კერძოდ, 21%-ითაა გაზრდილი საჰაერო მიმართულებების რაოდენობა[1]. დამატებით, საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთმა უდიდესმა ავიაკომპანია WizzAir-მა ქუთაისში აღადგინა საერთაშორისო ფრენები და საერთაშორისო ბაზა. ამავდროულად, 2021 წელს სხვა ავიაკომპანიებმაც (როგორიცაა FlyArystan, Air Astana, Air Manas, Gulf Air, Qatar Airways, Air Arabia, FlyDubai, LOT Polish Airlines, Eurowings, Bees Airlines, Aegan Airlines და Turkish Airlines) განაახლეს, გაზარდეს ან დაიწყეს ოპერირება საქართველოში[2]. ტურიზმის სექტორის მომავალ აღდგენაზე ასევე დადებითად იმოქმედებს საქართველოს 2021 ნლის განახლებული სახელმწიფო ბიუჯეტიც, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბიუჯეტი 10 მილიონით გაიზარდა. გარდა ამისა, საქართველო 4 ნლის ვადით UNWTO-ს აღმასრულებელი საბჭოს წევრი გახდა, რაც ქვეყანას ტურიზმის სექტორის გლობალური პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობის შესაძლებლობებს მისცემს.

ამ პოზიტიური ცვლილებების შედეგად, 2021 წლის მარტიდან შეინიშნება საერთაშორისო ვიზიტორების მნიშვნელოვანი ზრდა. გარდა ამისა, ყოველთვიურად იზრდებოდა ვიზიტორების რაოდენობა პრე-პანდემიურ დონესთან შედარებით (პრე-პანდემიური დონე გულისხმობს შესაბამისი თვის 2017-2019 მონაცემების საშუალოს) – 2021 ნლის მარტში, პრე-პანდემიური მაჩვენებლის მხოლოდ 19% აღდგა, ხოლო ივლისში იგივე მაჩვენებელმა 39% შეადგინა.



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

მიუხედავად ამისა, ტურიზმის სექტორის აღდგენის მიმართულებით კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი ნინაღობები. კერძოდ, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ქვეყანაში შეინიშნება COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევებისა და გარდაცვლილთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ამძაფრებს 2021 ნელს და შემდგომში ტურიზმის აღდგენასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას. შემთხვევების მატების შედეგად, საქართველო ისრაელის „წითელი“ ქვეყნების სიაში გადავიდა. აღსანიშნავია, რომ ისრაელი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ტურისტულ ბაზარს წარმოადგენს, განსაკუთრებით 2021 ნელს. „წითელ“ სიაში გადასვლის შედეგად, ისრაელმა ივლისში საქართველოში ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა, როცა ივლისში ის მეორე ადგილს იკავებდა. გარდა ამისა, მიუხედავად ვაქცინაციის პროგრამის დაწყებისა, ქვეყანაში ვაქცინაციის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო კვირებში ვაქცინაციის ტემპმა საგრძნობლად მოიმატა, ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ არ არის ვაქცინირებული. ვირუსის გავრცელების ტემპის შესანელებლად თავიდან დაწესდა გარკვეული შეზღუდვებიც.სწრაფი ვაქცინაციის პროცესი და ვირუსის გავრცელების შემცირება ტურიზმის სექტორში არსებული დადებითი ცვლილებების შენარჩუნებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

1 https://bm.ge/ka/article/aviaciis-agdgenis-tendencia-ukiduresad-kargi-swrafi-da-jansagia---mariam-qvrivishvili/87531/
2 https://bm.ge/ka/article/qvrivishvili---quotaset-rtul-periodshi-aviacias-axali-mimartulebebi-da-aviakompaniebi-emateba/85287/; https://bm.ge/ka/article/ra-mimartulebit-zrdis-saqartvelodan-frenis-sixshireebs-9-aviakompania/87399/

სასტუმროს ფასების ინდექსი

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2021 ივლ/ 2021 ივნ	2021 ივლ/ 2019 ივლ	2021 ივლ/ 2021 ივნ	2021 ივლ/ 2019 ივლ	2021 ივლ/ 2021 ივნ	2021 ივლ/ 2019 ივლ
კახეთი	1.0%	16.9%	4.3%	20.2%	-0.2%	16.0%
იმერეთი	2.3%	18.3%	4.8%	5.8%	0.8%	27.4%
გურია	12.8%	-6.2%	12.6%	-23.7%	13.0%	15.2%
ქვემო ქართლი	6.3%	9.4%	0.0%	9.4%	12.9%	-
აჭარა	13.3%	-2.6%	12.5%	-2.5%	15.2%	-2.7%
რაჭა	3.1%	0.0%	-	0.0%	3.1%	0.0%
შიდა ქართლი	-0.5%	36.0%	12.8%	25.9%	-6.6%	38.6%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	9.2%	11.4%	7.9%	-4.5%	10.2%	16.4%
სამცხე-ჯავახეთი	12.7%	-6.2%	18.3%	-24.2%	4.0%	9.5%
მცხეთა-მთიანეთი	7.5%	15.4%	4.4%	1.7%	11.5%	24.5%
თბილისი	7.8%	8.2%	8.6%	11.5%	1.8%	-6.8%
სულ ფასების % ცვლილება	9%	5.6%	9.4%	4.2%	5.9%	-0.6%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2021 ნლის ივლისში, 2021 ნლის ივნისის ფასებთან შედარებით და 2019 ნლის ივლისის ფასებთან შედარებით.

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2021 წლის ივლისში, 2021 წლის ივნისთან შედარებით, 9%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი გაიზარდა 9.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.9%-ით გაიზარდა.

2021 წლის ივლისში, 2019 წლის ივნისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 5.6%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 4.2%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 0.6%-ით შემცირდა.

სასტუმროს საშუალო ფასები

2021 წლის ივლისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **149 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **256 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა ივლისში **85 ლარი** შეადგინა.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივლისში **524 ლარი** შეადგინა. გურიაში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 809 ლარი შეადგინა, აჭარაში - 550 ლარი, კახეთში - 543 ლარი, ხოლო თბილისში - 539 ლარი.

საბაზისო ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	III 2019	IV 2019	2019	I 2020	II 2020	III 2020	IV 2020	2020	I 2021	II 2021
1	1800	697	564.2	2 223	427.2*	310.4*	335.8*	247.5*	1320.9*	187.9*	-
2	8679.5	3375.1	2120.4	9357.9	1333.1	114.2	150.3	149.6	1749.3	134.7	351.3
3	4756.8	1863.6	1089.7	5080.5	765.3	82.3	113.6	125.9	1087	116.6	305.8
4	3222.1	1126.8	685.8	3268.7	427.7	28.8	42.5	42.6	541.7	53.6	-
5	524.7	181.6	176.2	657.2	124.1	13.5	20.9	22.0	180.5	19.8	-
6	82.3	36.1	6.6	120.2	15.7*	3.0*	7.9*	-247.4*	-221.5*	2.2*	-

1 მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)

2 საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)

3 ტურისტების რაოდენობა (ათასი)

4 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)

5 ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცი--რე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.